სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკოლოგია“
მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები

სპეციალობა - მუსიკის ისტორია

მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს შემოქმედებითი ტური სპეციალობაში, ტესტი ინგლისურ ენაში* და საერთო სამაგისტრო გამოცდა.

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

I ეტაპი (ზეპირი)
აპლიკანტს მოეთხოვება სამი შემოთავაზებული მსხვილი ერთნაწილიანი ან ციკლური მუსიკალური ნაწარმოებიდან ერთერთის გაანალიზება ისტორიულ ასპექტში (იხ. სასწავლო გეგმის ფარგლებში შესწავლილ იმ კომპოზიტორთა თანდართული სარეკომენდაციო ნუსხა, რომელთა ნაწარმოებებიდან შეიძლება შეირჩეს საანალიზო ნიმუში). სამუშაო დრო 2 ასტრონომიული საათი.

ნუსხა

<u>მსოფლიო მუსიკის ისტორია</u>	<u>ქართული მუსიკის ისტორია</u>
1. იოზეფ ჰაიდნი	1. შალვა მშველიძე
2. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი	2. ანდრია ბალანჩივაძე
3. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი	3. ალექსი მაჭავარიანი
4. ფრანც შუბერტი	4. ოთარ თაქთაქიშვილი
5. ფელიქს მენდელსონი	5. სულხან ცინცაძე
6. რობერტ შუმანი	6. ბიძინა კვერნაძე
7. ფრედერიკ შოპენი	7. ნოდარ გაბუნია
8. ფერენც ლისტი	8. სულხან ნასიძე
9. კარლ მარია ვებერი	9. გია ყანჩელი
10. იოჰანეს ბრამსი	
11. ანტონინ დვორჟაკი	
12. ედვარდ გრიგი	
13. ჟორჟ ბიზე	
14. პეტრე ჩაიკოვსკი	
15. სერგეი რახმანინოვი	
16. გუსტავ მალერი	
17. რიჰარდ შტრაუსი	
18. კლოდ დებიუსი	
19. მორის რაველი	

II ეტაპი (ზეპირი)
მცირე ფორმატის გასაუბრება, რომლის დროს აპლიკანტმა უნდა შეძლოს აკადემიური განვითარებისათვის მზაობისა და მოტივაციის დადგენის მიზნით საკუთარი თავის წარმოჩენა. მან უნდა გამოავლინოს პროფესიული ინტერესები, კერძოდ, მომავალი სამაგისტრო ნაშრომის პრობლემატიკა და თემატიკა.

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 61-100.

ინგლისური ენა*
მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი (გამსვლელი ქულა - 51-100) ან რეგისტრაციის დროს გამოაგზავნოს ინგლისური ენის შესაბამისი დონის სერტიფიკატი.